წელიწადი მეორე. № 24. 21 ივნისი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ «ივერია» პირველს მკათათვიდამ ვიდრე მომავალ პირველს იანვრამდე. ფასი ნახევარ წლისა სამი მან. და ათი შაური. ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღება უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ქვემოთ დუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი შემდეგია: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Иверія».**

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს ოთხშაბათობით დილის ათი საათიდამ ვიდრე შუადღის ორ საათამდე.

**შიგნით:** I. საქართველოს მატიანე: („ივერიის" კორრესპონდენციები) ქიზიყიდამ, ქუთაისიდამ, ზაქათალიდამ.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. რუსეთი.—IV. მგზავრის შენიშვნები.

## საქართველოს მატიანე

### („ივერიის" კორრესპონდენციები)

**ქიზიყი.** („ივერ." კორრესპ.) მკითხველმა გაზეთებიდამ იცის ის მიზეზები, რომელთა გამო ხალხი ძრიელ შევიწროებულა, მას მოთმინებას ბოლო მოსჭრებია, და მოუხდენია უწესოება. ჯველა ამას დაუმატეთ კიდევ სხვა მიზეზებიც და მაშინ ცხადათ გავიგებთ, რომ ხალხი იმოდენად არ არის დამნაშავე, რამოდენათაც ზოგიერთნი ჰფიქრობენ. მაგალითებრ, მოითხოვეს ურმები, და ხალხმა მაშინვე მისცა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ხალხს რაღაცა ეჭვი შეეპარა მამასახლისებზედ. ამას მოჰყვა ახალი მილიციის გამოყვანა კენჭის ყრით. აქაც გრძნობდა ხალხი, რა უნდა მოსვლოდა მას ბოროტ მამასახლისების ხელში. რაღა თქმა უნდა, რომ ხალხი გაბრაზებული ამ მიზეზებისაგან უნუგეშოთ არ გაუშვებდა პატივცემულ მამასახლისებს და რიგიანად გადუხდიდა შესაფერ მადლობას. ასე მოხდა კიდეც.

ახლა მოგახსენებ რა ეჭვი უნდა ჰქონოდა ხალხს ურმების გამოყვანაზედ: მამასახლისებს ბძანება ჰქონდათ, რომ ვისაც ერთი ურმის საქონლის მეტი არა ჰყავსო, იმას თავი დაანებეთო და მხოლოდ იმათ გამოაყვანინეთო, ვისაც ერთი ურმის შესაბამზე მეტი საქონელი ჰყავთო, რომ შინ სამუშაოთაც დარჩომოდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მამასახლისები სულ დარიგების წინააღმდეგ და თავიანთ ჯიბის სასარგებლოდ იქცეოდნენ. აი ეს როგორ ხდებოდა: ვისაც უღელი ხარის მეტი არა ჰყვანდა, იმას წაართმევდნენ და სალაშქრო ურემში აბამდნენ და ვისაც შვიდი და რვა უღელი ჰყვანდა, იმას კი ანთავისუფლებდნენ, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მტკიცე სარგებლობას უქადიდა მათ, ვიდრე პირველი.

ჯველა ეს მიზეზი ერთი მეორეს ზედი-ზედ მოჰყოლია; ერთი მეორეზედ უფრო აღმაშფოთებელი ყოფილა და სხვ. ეს გამოუთქმელი მათი ბალღამები, (იქნება კიდევ გამოთქვეს ვისთანმე, მაგრამ გამგონე ყოფილა თუ არა, ეს ჩვენ არ ვიცით) თან-და-თან გაზდილან მათ გულში, და ბოლოს რომ ვერ დაუტევიათ, უცებ წამოუძახნიათ: „აბა წავიდეთ ჩვენ თავს გუშველოთ რამე, თორემ ეს არის, ამაზედ მეტი აღარ შეგვიძლიან!" დაგროვილა ოთხი სოფლის ხალხი, ქალი და კაცი, და წასულან იქ, სადაც უფროსი ეგულებოდათ. ამ გამგზავრებულ ხალხს აზრათაც არა ჰქონია უწესოების მოხდენა, ამიტომ სანატრელია,

რომ კარგად და დიდის ყურადღებით იყოს გარჩეული ვინ არის ნამდვილად დამნაშავე და ვინ არა.

ამ ჟამად ორასზე მეტი კაცია დატუსაღებული. თუ არიან ზოგიერთა საზოგადოებისთვის მავნებელნი პირნი, მათ უნდა მოჰყვნენ აგრეთვე ზოგიერთა ბოროტი მოხელეებიც, რომელნიც მომეტებით უფრო მავნებელნი იყვნენ ხალხისთვის, ვიდრე სასარგებლონი. ნამეტნავათ, ამ უკანასკნელ დროს, ამ მოხელეებმა თავიანთ ბოროტ-მოქმედებას უფრო მოუმატეს, რადგან იცოდნენ, რომ გადაყენებულნი იქმნებოდნენ ახალის კენჭის ყრით. . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . .სხვათაშორის, არც ამ გარემოებას ჰქონდა ნაკლები გავლენა ხალხის აღფოთებაზედ. ხალხი ფიქრობდა, ვითომ მთავრობას მამასახლისებისთვის თანამდებობა ცხრა წლობით მიუნიჭებიაო, ოღონდ კი სალდათი გამოეყვანათო. თუმცა ამგვარი მხედველობა ტყუილი იყო, მაგრამ ხალხს მაინც დაურღვეველ ჭეშმარიტებათ ეგონა. მამასახლისები კი ამით სარგებლობდნენ და ეშურებოდნენ ბლომ-ბლომა ქრთამების აღებას, რადგანაც, წინააღმდეგ ხალხის ჯაზრისა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დღეს თუ ხვალ უთუოდ უნდა მოკლებულიყვნენ თავიანთ უღირს ნეტარებას და ამისათვის არაფერში არ ზოგავდნენ თავიანთ მოძმეებს და უსვინიდისოდ სცარცვიდნენ.

ერთის სიტყვით, უნდა ვსთქვა, რომ ყველა ეს უწესოება და უპატიოება, რომელიც მიაყენეს ზოგიერთ პატიოსან პირთ, გამოიწვიეს ყველა იმ მიზეზებმა, რომლებიც ზევით მოვიხსენეთ...

ამ საქმის გულისთვის მოვიდა ღუბერნატორი, რომელმაც მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ამ შემთხვევის მოთავე და მონაწილე პირნი დაეტუსაღებინათ. ამ შემთხვევაშიაც არ დარჩნენ თურმე ეს ჩვენი მამასახლისები ხელ-მოუთბობელნი. გაბრაზებულნი, ამ გვარ თავიანთ უპატიობის მიყენებაზედ, ატუსაღებდნენ ბრალიანს თუ უბრალოს, და ვინც ბლომა ქრთამს მისცემდა, იმას ანთავისუფლებდნენ. ამ გვარათ მოჰყვა ამ დატუსაღებაში ბევრი მართალი კაციც. აი რა საკვირველი ამბავი მიამბეს ამ შემთხვევაზედ: ერთი გლეხი კაცი ამ შემთხვევის მეორეს, თუ მესამე დღეს მისულა ზარდაოდგან; მამასახლის შეუტყვია თუ არა, მაშინვე იქით გაქანებულა და ამ საწყალის კაცისათვის ხელი წაუვლია; ამ საწყალს ბევრი თავის გამართლების შემდეგ, რო ვერა გაუწყვია რა, ამდგარა და რაც ურმის ქირა მოუტანია, სულ მამასახლისისთვის მიუცია, ოღონდ კი ამ ხათაბალაში არ ჩავებაო და ამ გვარად დაუხსნია თავისთავი. როდემდის უნდა ითმინოს ხალხმა ამ გვარი უსვინიდისო ქცევა მამასახლისებისა და მათგან. . . .

. . . . გაცარცვა?! დრო არ არის ბოლო მოეღოს ამ გვარ მოქმედებაებს? მე მგონია აქამდისაც დრო იყო, არამც თუ ეხლა.

ამ შემთხვევაში ძრიელ გონივრულად მოიქცა უფ. გუბერნატორი. დაიარა ყველა ის სოფლები, რომლებიც ამ უწესოებაში ერივნენ და შეაგროვა მიზეზები, რომელთა გამოც მოხდა ამ საწყლებისთვის ეს დასადუპათ უბედური შემთხვევა. ხალხს სულ ამ მოხელეებზედ მიუშვერია ხელი და აუხსნია თავისი შევიწროებული მდგომარეობა.

სჯა იმაზედ, თუ რამოდენა ზარალი მოსდის გლეხ კაცს, ყოველის მხრივ, ამ უბედურის შემთხვევის გამო, მიმინდვია მკითხველისთვის. მხოლოდ ეხლა ვისურვოთ, რომ ეს საქმე მსწრაფლად და სამართლიანად გათავდეს. მოიმედე ვართ, რომ როგორც უფ. გუბერნატორი, ეგრეთვე გონივრული და პატიოსნური გამოძიება სამართლიანს შედეგს მოგვიტანენ და ერთმანეთს არ გაატანენ ბრალიანს და უბრალოს.

მნახველი.

13 თიბათვეს, 1878 წ.

---

ქუთაისი, ივნისის 17-ს. სწავლის შეძენის სურვილი ჩვენს ხალხში რომ ძრიელია, ეს შეჭველია ყველასთვის, ვინც კი ჩვენის ხალხის ცხოვრებას თვალყურს ადევნებს. არ არის იმისთანა სოფელი, რომელიც არ ცდილიყოს სასოფლო სასწავლებლის გამართვას და თუ რომელთამე მათგანმა ვერ მოახერხა სასწავლებლის გამართვა, ეს მოუვიდათ სურვილის და მეცადინეობის სიმცირის გამო კი არა, არამედ იმიტომ რომ კეთილ სინიდისიანი, საქმის მცოდნე მოთავე არ ჰყვანდათ, ან არა და უკიდურესი სიღარიბე უშლიდათ. უკანასკნელ შემთხვევაში ზოგიერთ

სოფლებში გამოჩენილან ხოლმე იმისთანა ადამიანები, რომელთაც თავიანთ ხარჯით გაუმართავსთ სასწავლებ-ლები და ზოგიერთ შემთხვევაში სწავლებაც თვითონ უკისრნიათ. აი ერთს ამისთანა გვამზე რას მწერს ერთი სანდო კაცი სოფ. პატარა ჯიხაიშიდგან. „დღემ-დი ჩვენს სოფელში ჩვენის სიღარიბის გამო არ გვქონდა პირველი დაწყებითი სასოფლო სასწავლებე-ლი, ეგ საფუძველი ჭეშმარიტი განათლებისა, ეგ პირ-ველი ბიჯი მეცნიერებისაკენ. თუმც ბევრჯელ გვქონ-და სასწავლებლის გამართვაზე სჯა, და არა ერთხელ გვითქვამს“ შენი მტერია შვილები წყალ წაღებული გვირჩება უსასწავლებლოთ... უკანასკნელი ფერანგი და-გვწინდროთ და სასწავლებელი დავაფუძნოთ... და თან წრფელის გულით გამზადებდით წინასწარდახატულე-ბათა (პლანებს), თუ როგორ უნდა მიგვეყო ხელი სასწავლებლის გამართვისათვის, მაგრამ სიტყვები სიტ-ყვებათ გვრჩებოდნენ და წინასწარდახატულება წინას-წარდახატულებად... ბოლოს გამოგვიჩნდა ერთი და-ლოცვილი კაცი, მღვდელი ლუკა ივანესძე ჩომახიძე, რომელმაც, რა შეგვიბრალა, თავის თავზე იკისრა სასწავლებლის გამართვა და კიდეც აასრულა. ამ სას-წავლებელს მან მიუჩინა საკუთარი სახლი. რამოდენი-სამე ხნის შემდეგ უფ. ჩომახიძემ თავის ფულითვე იყიდა ორ ოთახიანი ლაზათიანი სახლი, მოაწყო სასწავლებელი ავეჯეულობით და იმაში გადიტანა სასწავლებელი, რომელსაც სოფელი უწოდებს „უსასყიდლოს“, რად-განც მამა ჩომახიძე უფასოთ ასწავლის. მასწავლებლად თვითონ მამა ჩომახიძე არის. იგი ასწავლის ქართულ წერა-კითხვას, ნუმეცარიას და კ—ს „სახელმძღვანე-ლოს“. ეხლა ამ სასწავლებელში ითვლება 50 შაგირ-დი ორივე სქესისა, მათ რიცხვში 35 ვაჟი და 15 ქა-ლი. მამა ჩომახიძემ სასწავლებლის გამართვის გარ-და შეადგინა „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რათა იაფათ დაუჯდინოს სოფელს წიგნები. აწ იმედი გვაქვს რომ სამემრისოდ საქმე უმჯობესად წავა“.

წერილი თავდება შემდეგის სურვილით, რომელ-საც ჩვენც ვეთანხმებით: „ღმერთმა ინებოს სხვა ჩვე-ნებურ მღვდლებსაც ამ რიგი საქმე ექნათ“.

ი—ა ი—ძე.

---

ქუთაისი, 19 ივნისს. ჩვენს საზოგადოებას რაღაც მოძრაობის და სიცოცხლის სახელი აქვს დავარდნილი, და მართლაც აქაური საზოგადოება, როგორადაც უფ-რო აღძრულია და მოძრავი,—ამას იჭვი აღარ უნდა. მაგრამ საქმე ის არის, თუ რას მოასწავებს ეს მოძ-რაობა, რა არის იმის დედა ჰაზრი და იმის საგანი? რას ჰნიშნავს ეს განუწყვეტელი მეტიჩრობით შეხამე-ბული ფაცა-ფუცი, თვალთმაქცობა და კუდიანობა? რას მოასწავებს ეს ჩაციებული მტრობა და მოუსვენარი შური ერთმანეთშორის?

ამ ნაირი მუდამ შეხურებული მდგომარეობა სულ უაზრო და უსაგნოა და ემგზავსება იმ მოძრაობას, როგორიც აქვთ ცოცხალ კიბოებს კალათაში—შრიალ-შრიალი, ერთმანეთზედ ფორთხვა, ერთმანეთის ჩქმე-ტა და წიწვა—გლეჯა თუ. მრავალ არიან გზანი ის-ტორიულ წარმატებისანი,—ეს ჩვენი კოტრიალობა ისეთ მაღალ წყაროდგან მომდინარეობს, რომლიდგა-ნაც ადრე თუ გვიან უნდა აღმოსქდეს ჩვენი ცხოვრე-ბის დამამშვენიერებელი და გამამდიერებელი შადრე-ვანი?

ღმერთმა ინებოს ეს მეორე ჰაზრი შესრულებუ-ლიყოს და ჩემი იმედიც ეს არის, რომ ერთს დროს ჩვენც უნდა გვეღირსოს კაცური ცხოვრება; მაგრამ ეს „ერთი დრო“, ვინ იცის, როდის დადგება; მომავა-ლი თვალ-გაუწვდელი ბინდით არის გარემოცული, და დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა კი მეტად მწე-ლი ასატანი დარჩა. ხშირად ვფიქრობ—ერთი დავი-კარგო სადმე, მოვრჩე ამდენს მწუხარებასა, ამდენს სულისა და გულის მილეულობასა,—მაგრამ სად წავი-დე და როგორა? იმდენი წვრილი თუ მსხვილი მაფე-ბით ვყოფილვარ თურმე დაბმული ამ თავის მომაბეზ-რებელ, მაგრამ მაინც საყვარელ სამშობლოზედა, რომ დაკარგვით ვერსად ვერ ვიკარგები ცხადად და გონებით კი, ვინ იცის, სად გადავვარდები ხოლმე,—მივცემ თავს ირაოს და გადმოვჰყურებ ზეციდგან ქვეყ-ნიერებას! აქ აღარ ისმის კიბოების ხმა, აღარ უწევს ჯაობების დახაშმული ჰაერი, გული მჩატდება, თვალი შორს ჰსჭვრეტს,—იშ, რა მშვენიერია ქვეყანა!..

— რიანთელი.

**ზაქათალა.** 15 მაისს ვიყავი სამსახურის საქმეზედ სოფ. კახში: იმ დღეს ჩავიარე კახის ბაზარში, შემხვდნენ რამდენიმე აქაური ვაჭარი სომხები *) და მითხრეს ჩვენი აღსასრული მოსულაო, ზაქათალის მაზრის უფროსი მობმანებულაო და გვიბარებს სუყველა ვაჭარს ხალხს მამულებისა და ვალების საქმეზედაო; მე ვუთხარი პასუხათ, თუ მართლები ხართ, მეთქი უკანონოდ ვერას წაგართმევს მმართებლობა და თუ არა, რასაკვირველია, ისე მოიქცევა მმართებლობა, როგორც კანონია. იმათ რომ მოვშორდი, შემდეგ შემხვდნენ იქაური მცხოვრებნი ინგილოელნი, დამაყენეს გზაზედ და მითხრეს: რა გვეშველებაო. იმათაც ისეთი პასუხი მივეცი, როგორც სომხებსა, რადგანაც ძრიელ ვეჩქარებოდი ჩემს სამსახურის საქმეზედ.

მე დავრჩი სოფ. კახში 18 ვიდრე 21 მაისამდე. ზაქათლის მაზრის უფროსმა დაიწყო გარჩევა საქმეებისა. სულ გასარჩევი 175 საქმეა მამულების თაობაზედ, რომელნიც სომხებს უჭირავთ ვალებში. მე ვეღარ მოვითმინე და წაველი ზაქათლის უფროსის სამართლის გასაგებათ. რომ მივედი ვნახე, კახის უჩასტკის უპრავლენიის გვერდზედ კარში იდგა ერთი დიდი სტოლი წითელ მაუდ გადაფარებული, ერთ მხარეს იჯდა უფალი ზაქათალის მაზრის უფროსი სერაფიმოვიჩი, აქეთ და იქით ისხდნენ ჩლენები და დეპუტატები, დაეწყოთ სტოლზედ გასარჩევი საქმეები. მაზრის უფროსი კითხულობდა სახელებს სომხებისას და ინგილოებისას და ვისაც ამოიკითხავდა, წინ გამოვიდოდნენ ხოლმე. სომხებს ეუბნებოდა, როგორის საბუთით გიჭირავთ სახელმწიფო მამულებიო ან რას მიზეზით ჰფლობთო. სომხებს მოჰქონდათ რაღაც ქაღალდები თათრულს ენაზედ დაწერილი, რომელზედაც თხოვნითა მამულის პატრონისა სხვას ეწერა ხელი და ზედ იყო რამდენიმე ბეჭედი სხვა და სხვა პირის სახელიანი და აგრეთვე მამასახლისისა და სუდიების ბეჭდები აჯდათ ზედ. გარდა ამისა მოჰქონდათ თავიანთი დავთრები, რომელშიაც ეწერა რიცხვი ფულის მიღებისა და ან დანახარჯი იმ მამულზედ სომხებისაგან; ამ ქაღალდების გაშინჯვის შემდეგ ჰკითხავდა გლეხებს: მართალია მიგიღიათ ეს ფულიო, თუ არა. ზოგნი კისრულობდნენ, შემდეგ უცხადებდა სომხებს, რომ იმათ არა აქვთ ნება სახელმწიფო მამულების ყიდვისა. შემდეგ ცნობაში მოჰყვანდათ წლიური შემოსავალი გლეხის მამულებისა, აგრეთვე სარგებელი ფულისა; იმ სარგებელს და შემოსავალს გამოდიოდნენ და რომელსაც დაედებოდა იმაზედ სწყვეტდა უფ. ზაქათალის მაზრის უფროსი; მამულებს უბრუნებდა გლეხებს და თუ დაედებოდათ რამე ვალი, იმ ვალის გადასახდელად შეძლებისადაგვარად აძლევდა გლეხს ვადას, რომ გლეხმა გარდაუწყვიტოს ცოტ-ცოტაობით სომეხს რამდენსამე წელიწადში.

სწორედ გითხრათ დიდი საძნელო საქმეა ეს საქმე. დიდი შრომაც არის ამისთანა არეულის ანგარიშის თავის და ბოლოს მობმა: დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამისთანა საქმე რიცხვით 175 გაათაოს, მერე, როგორც მე ვნახე, თითო საქმეს სამი-ოთხი საათი უნდებოდა. თქვენ არ იცით, რა არის სომხის მედუქნის დავთარი. აბა ამ დასლართულს დავთარს ვაჭრის ვირ-ეშმაკობა დაუმატეთ და მაშინ გაიგებთ ზემოხსენებულის საქმის კეთილად და სამართლიანად გარჩევა რა დიდი ღვაწლია.

---

**ქ. ზაქათალა,** 26 მაისს. ოჰ, რა უწესობაა და უყურადღებობა ამ ზაქათალის მოიჯარადრე ფოჩტების სტანციებისა. კახიდამ მოყოლებული ვიდრე ბელოქნამდე, ეს ოთხი სტანცია (კახისა, გულუკისა, ზაქათალისა და ბელოქნის) უჭირავს ერთს სიღნაღიდან მოსულს სომეხს არტემ არუთინოვს იჯარით. ახლა მინდა გიამბოთ როგორ ირჯება ეს უფ. მოიჯარადრე. ყოველ სტანციაში ჰყავს ისეთი ცხენები, რომ სიგამხდრისა გამო წისქვილზედ დაიფქვიან, იამშჩიკები არიან სულ ღოთები, პოდოსკები ისეთები აქვს, რომ თუ ღამე შეგესწროთ წასვლა წამოსვლა აქეთ მხარეს, უეცრად ფეხი ჩაგივარდებათ პოვოსკაში და სულით, ხორცით დაიღუპებით, ისეთი დამტვრეულია. ჯანი გავარდეს, იმეებს ყველას კაცი გაუძლებს, მაგრამ ისეთი ცხენები ჰყავს, რომ თუ ჩობისა გამო დადგნენ გზაზედ, რაც უნდა ღონიერი ღოთი იემშიკი იყოს და დაამტვრიოს თავი და ფეხები,

---

*) სომხები აქულისიდან მოსულნი რომლებიც ვაჭრობენ მთელს ზაქათალის მაზრაში და აძრობდნენ სულსა და ტყავს საწყალ ბირუქცევს ინგილოს ხალხს და დეეჭირათ ხელში იმათი უძრავი და მოძრავი მამულები ესლა გი ენა დამოკლებიათ როგორც ქსხანს.

ცხენებს ვერ გაატარებს გზაზედ. აი მაგალითად რა მიამბო ამას წინად ერთმა ჩემმა მეგობარმა ყოველივე გარემოება აქაურს სტანციებისა. 10 მაისს თურმე მოიკითხა ზაქათალაში ცხენები (ტროიკა ფოშტისა) წასასვლელად კახის სტანციისკენ; რო მოუყვანეს ტროიკა, ისა და ორი სხვა ჩასხდნენ და წავიდნენ; რო გასცილდნენ ზაქათალას, ცხენები დაუდგათ შიგ შუა წყალში. საწყალი იამშჩიკი ჩამოხტა შიგ წყალში ტროიკიდან და დაუწყო წევა პოვოსკასა. რომ გაუჭირდა, დაუწყო თხოვნა პოვოსკაში მსხდომ კაცებს ჩამოხტომა ტროიკიდან. რა გაეწყობოდა, ჩამოხტნენ, გატოპეს წყალში; მერე რის ვაი-ვაგლახით გაიყვანეს ის ოჩანი ცხენები წყლიდან, შემდეგ ჩასხდნენ და წავიდნენ. რაღა თავი აგატკივოთ მანამ მივიდოდნენ გულუვის სტანციამდე (19 ვერსია) ოცჯერ მეტად დაუდგათ ცხენები გზაზედ და თითქმის ის 19 ვერს ნახევრობამდე გაიარეს ფეხით. როცა მისულან სტანციაში, ამ ჩემს მეგობარს დაუწერია პირჯვარი და უთქვამს: მადლობა ღმერთსა, რომ მშვიდობით მოვასწიეთ ამ სტანციამდინაო და უთქვამს იქაურს სტაროსტისათვის, თუ ამისთანა ცხენებს კიდევ შეგვაბამთ ფეხით წასვლა გვირჩევნიან, რადგანაც აქედან კახამდინ რჩება 15 ვერსტი. ერთს იქაურს იამშჩიკს პასუხათ ესე ეთქვა: «ბატონებო, ეტყობა თქვენი პირველი გამოვლა არის, ცხენები და პოვოსკები არ გინახავთ; ისეთი ცხენები ჰყავსო ჩვენს «ხოზეინს,» რომ არა თუ 19 ვერსტი, 2 ვერსტსაც ვერ გაივლიან; პოვოსკები რომ ნახოთ არა თუ ხალხის ჩასასხდომათ გამოდგება, საბუქის საზიდლადაც არ ივარგებს და გარდა ამისა მე მგონია, რომ ჩვენმა «ხოზეინმა» დღით მოგვცა ამისთანა ოჩანი ცხენები, რადგანაც ამისთანა ოჩანს ცხენებს და დანტვრეულს პოვოსკებს აძლევს ხოლმე ღამით, რადგანაც ღამე ვერავინ არჩევს კარგსა და ცუდს და თუ დიდმა-კაცმა გამოიარა, მაშინ კი სიცოცხლე გაქვს, რომ კარგს ცხენებს და იამშჩიკებსაც თავის წესით ჩაცმულს გაატანს ჩვენი «ხოზეინი,» ამასთანავე იამშჩიკმა დაუმატა, რომ ოთხსა და ხუთს თვეს ჯამაგირს გვიჭერისო ჩვენი «ხოზეინიო,» ჩვენ წერილი არ ვიცით, როცა მივალთ საანგარიშოთ, იმ გადაკრულს დროს, მოგვცემს ხოლმეო ორს ან სამ მანეთს და გაგვიბარებს ოთხის და ხუთის თვის ჯამაგირსაო. თუმცა არც გვინდა დგომა იმასთან, მაგრამ რადგან ყოველთვის ჩვენი ჯამაგირი იმაზედ რჩება, თავი ვერ დაგვინებებიაო. რომ დაიღალა იამშჩიკი ლაპარაკით, გაიქნია ხელი, დაუწრუწუნა, შემოჰკრა ცხენებს და სთქვა რუსულს ენაზედ: **Богъ съ ними! Баринъ дастъ наводку.** ამ უფ. მოიჯარადრეს როგორც იამშჩიკები ისე სტანციის სმოტრიტელები ხელში ჰყავსთ და ამიტომ არ ეშინიათ. გასაკვირველია ამისთანა უწესოება არც ერთს მოგზაურს კაცს არ უცნობებია მთავრობისათვის. დიდად მოხარული ვიქნები თუ ამ წერილის გამო ყურადღებას მიაქცევენ აქაურს სტანციების საქმეს.

---

16 თიბათვეს გორში მოუკლავს თავი ერთის პოლკოვნიკის (შიდლოვსკის) ქალს. თუ მართალია რაც ჯერ-ჯერობით არის ცნობილი ამ საქმეზედ და თუ მართლა გამოძიება არის დანიშნული ეს საქმე ყურადღების ღირსი უნდა იყოს. აი რას იწერება სავათა შორის „დროების“ კორრესპონდენტი გორიდამ:

„ამბობენ, რომ ამ ქალისაგან ძალით თავის დაღრჩობის მიზეზი დედა იყოვო! ამბობენ დედამისი ერთობ ანჩხლი დედაკაცი იყოვო, მუდამ სტუქსავდა თავის ქალს, მუდამ უჯავრდებოდაო, (ზოგიერთისაგან გავიგონე. რომ ხშირად კიდეც სცემდაო), ერთს ნაბიჯს თავის ნებაზე არ გადაადგმევინებდაო, ყველაფერი ეჯავრებოდაო იმის, ყველაფერისთვის ერთს ამბავს დაუწევდაო და სხვა.

„ბოლოს მოთმინებიდან გამოსულა ქალი და ამ უბედური შემთხვევის ორი დღის წინათ გაქცეულა სახლიდამ და აქაურ აფთიაქართან უფ.—შეფთან მისულა.

„ორი დღე დარჩენილა იმასთან; მესამე დღეს, უფ. შეფის ცოლს შეუტყობინებია ქალის დედისათვის რომ შენი ქალი ჩემთან არის, როგორადაც დაღონებულია, მეშინიან რამე უბედურება არ მოუვიდეს, მოდით და წაიყვანეთო.

«მაგრამ დედას ყურებიც არ გაუბერტყია: თვითონ მობრძანდესო! მუქარით შეუთვლია.

„შუადღისას, 16-ს ამ თვეს, ქალს მოუყვანინებია ფაიტონი, ჩამჯდარა შიგ და უთქვამს, რომ წყლის ნაპირას წამიყვანეო. მისულან თუ არა, ამოუღია სამი წიგნი, ერთი მამის სახელობაზე, მეორე დედის და

მესამეც უფ. შეფის ცოლისა, გარდაუცემ მეფაიტონესთვის ეს წიგნები ჩააბარე პატრონებსაო, მიუცია ორი აბაზი და გამოუსტუმრებია.

„თვითონ კი იმ წამსვე გაუძრია კაბა და სხვა ტანისამოსი, რაც ზემოდამ ეცვა, გაუძრია სამაჯე, ბეჭდები, საყურეები, და იუბკით, პერანგით და იმის ამხანაგით ჩასულა წყალში.

იმ დროს ხიდზე ბევრი ხალხი მდგარა; ისინი ამბობან თითქმის ნახევარი საათი დაჰყო იმ ქალმა წყალშიო. ჩვენ ერთი უნამუსო ქალი გვეგონაო, რომელიც მუდამ ამ ადგილას მოდიოდა და ბანაობდაო, თორემ შიდლოვსკის ქალი რომ გვგონებოდა, როგორ გაუშვებდითო.

ნახევარი საათის შემდეგ, ქალს შუა წყლისაკენ გაუწევია, ჩავარდნილა ღრმა ადგილს და გაუქანებია წყალს.“

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ვიდრე კონგრესი შეიკრიბებოდა, რუსეთისა და ინგლისის შორის, როგორც მოგეხსენებათ, გაცხარებული მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება იყო გამართული, რომლის ავისა თუ კარგის დაბოლოვებაზედ, ცოტად თუ ბევრად, დამყარებული იყო თვით მომავალის კონგრესის მომავალი არსებობაც. რაში მდგომარეობდა ნამდვილად ეს ურთიერთშორისი მისვლა-მოსვლა და მოლაპარაკება, რასაკვირველია, არავინ არ იცოდა. ინგლისი, როგორც მოგეხსენებათ, სულ იმაზე იდგა, რომ ვიდრე სან-სტეფანოს მორიგება მთლად არ იქმნება წარდგენილი კონგრესის წინაშე, ჩემ აზრს და სურვილს აღმოსავლეთის საქმის შესახებ არ გამოვაცხადებო. მეორეს მხრით, სან-სტეფანოს მორიგების მთლად წარდგენა კონგრესში რუსეთს საწყენად და თავის დასამდაბლებლად მიაჩნდა, მით უფრო რომ არავითარი საბუთი არა ჰქონდა ეფიქრა რომ მომავალი კონგრესი უკუ არ აგდებს მის უპირატესს და უმძიმესს სარგებლობას. თუ დაუთმობდა რუსეთი ინგლისს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ცოტად თუ ბევრად მიეცემოდა ხსენებული საბუთი. მაშასადამე თუ ეხლა შეკრებილია, კონგრესი სან-სტეფანოს მორიგების განსახილავად, სჩანს რომ ინგლისსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება იმგვარად ყოფილა მომართული, რომ რუსეთს მის შემდეგ აღარ გასჭირებია დათმობა ინგლისისათვის,—დათმობა, რომელსაც რუსეთი უწინ მძიმე მსხვერპლად აღიარებდა. მართლა და საქმეც ასე ყოფილა. ერთს ინგლისის გაზეთში, „Globe“-ში დაბეჭდილა პირშეკრულობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, თანხმობა, რომელიც დადგენილა თურმე ინგლისისა და რუსეთის მთავრობათა შორის და რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენელთ კონგრესში. ამ წერილში მოხსენებულია თუ სან-სტეფანოს მორიგების რა და რა მუხლში უნდა მოხდეს ცვლილება, ან რა გზას უნდა დაადგეს ამ მუხლთა შესახებ მოლაპარაკება. ზოგიერთა ადგილს ამ წერილისას ქვემოდ მოგახსენებთ. ჯერჯერობით უნდა მოგახსენოთ, თუ რა შთაბეჭდილება აღძრა ამ წერილმა მაგალითებრ საფრანგეთში და თვით ინგლისშიაც. ზემოხსენებულის წერილის მნიშვნელობა არსებობს არა იმაში, თუ სახელდობრ რა გვარი პირშეკრულება დაუდვიათ ერთი ერთმანეთისათვის რუსეთსა და ინგლისს, არამედ ეს მნიშვნელობა სუფევს თვით პირშეკრულობის არსებობაში. თუ ინგლისის პოლიტიკის დედა-აზრი და დედა-ბოძი იყო ევროპის მიერ დადგენილ სიგელთა პატივისცემა; თუ ინგლისის აზრით ამ სიგელთა დარღვევა შეუძლიან არა რომელსამე ცალკე სახელმწიფოს, არამედ მთელს ევროპას საერთოდ, მაშ ეხლა ინგლისი სულ სხვა გზაზედ დამდგარა და თვისი დედა-აზრიც არ დაუზოგავს, რადგანაც ცალკე პირშეკრულობა დაუდვია რუსეთთან. ამ თვალითვე დაუხვდნენ გაზეთის „Globe“-ის მიერ გამოცხადებულს წერილს ყველა ისინი, რომელნიც თანაუგრძნობდნენ ინგლისის პოლიტიკას, როგორც დამყარებულს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაზედ. მათთვის ხსენებული წერილი იმდენად მოულოდნელია, რომ მაგალითებრ ფრანციულს გაზეთს „République Française“ არც კი სჯეროდა მისი სინამდვილე, ამბობდა, ტყუილად მოგონილიაო და იწერებოდა შემდეგს: „ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ პატივცემულ უნდა იყვნენ ხალხთა-შორისი უფლება, სიგელნი და პირშეკრულებანი, რომელთაც სახელმწიფოთ უწერიათ ხელი. როდესაც, რამდენიმე ცალკე წინად, კონგრესზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ ვაღვიარეთ რომ ამ კონგრესს არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება, თუ მარტო იმისთვის იქმნება შეკრებილი, რომ თვისი ბეჭედი დასდვას სან-სტეფანოს მორიგებაზედ. მეორეს

მხრით ჩვენ სიხარულით მივეგებეთ კონგრესის შეკრებას, რომელსა წინაშე წარდგენილნი უნდა იყვნენ ყველა მომავალი ცვლილებანი აღმოსავლეთის საპოლიტიკო და ადგილმდებარეობითს მდგომარეობაში. ჩვენის ფიქრით ინგლისისაგან იყო აღიარებული შემდეგი დედააზრი: სიგელი, ხელმოწერილი რამდენიმე სახელმწიფოთა მიერ, შეიცვლება ან გაუქმებულ იქმნება მხოლოდ ამავე სახელმწიფოთა ნებადართვით. მაგრამ, თუ გაზეთის „Globe“-ის მიერ გამოცხადებული წერილი ნამდვილია, თუ ინგლისმა და რუსეთმა დაიყოლიეს ერთი-ერთმანეთი, მაშ კონგრესის შეკრება უქმია და საქმე ისევ ცალ-ცალკე და კერძო მოწყობილობაზედ უნდა იყოს მივარდნილი. თუ ასეა, ეჭვი არ არის რომ ინგლისს ევროპის სხვა ხალხთა თვალში დაეკარგება სახელი და ნდობა.“

არა სჯეროდათ მეთქმი გაზეთის «Glole»-ის სიმართლე, მანამ თვით ინგლისის მთავრობამ არ ამოიღო ხმა პარლამენტში ამ საგანზედ. აი რა თქვა ჰერცოგმა რიჩმონდმა ლორდთა პალატაში: «წერილი, რომელიც დაბეჭდილია გაზეთს «Glole»-ში უეჭველად გარდაუცია ამ გაზეთისათვის იმისთანა კაცს, რომელსაც ხელში სჭერია საიდუმლო დოკუმენტები. ის წერილი გამოცხადებულია მთავრობის ნებადაურთველად. მთავრობის პოლიტიკის შესახებ იგი (წერილი) არ არის სრული, მაშასადამე არ არის სწორე.» ასეა თუ ისე, აქედამ ცხადად გამოდის, რომ გაზეთის «Glole»-ის მიერ გამოცხადებული წერილი მართალია, თუმცა სრული არ არის. პალატი დარჩა უკმაყოფილო რიჩმონდის სიტყვით. დიდად სამწუხაროა, სთქვა ერთმა ლორდმა, რომ ინგლისი შედის კონგრესში არა თავისუფალიო, არამედ წინადვე ხელშეკრულიო.— ინგლისის საზოგადოება ძალიან გულნ წყენია, სხვათა შორის იმითი, რომ ზემოხსენებულის შეკრებულობის ძალით ინგლისის მთავრობა დიდ დაბრკოლებას არ დაუდებს რუსეთის ყარსისა, ბათუმისა და ბესსარაბიის თაობაზედ. «სამართალი მტკიცედ ითხოვსო, ამბობს ერთი ინგლისის გაზეთი, რომ ინგლისმა ხელი მოუმართოს რუმინიასაო, რადგანაც ნამეტნავად ინგლისის თაოსნობით მიეცა ამ სახელმწიფოს ბესსარაბიაო; მაგრამ ეს სამართალი გაქრა ხალხთა შორის ურთიერთობაში.»

რაში მდგომარეობს ის პირშეკრულობა, რომელიც გაზეთს „Globe“-ს საქვეყნოდ გამოუცხადებია და მით ცოტად თუ ბევრად შეურცხვენია ინგლისის მთავრობა?

ამ ურილობის ძალით ბოლგარია გაყოფილ უნდა იქმნეს ორ ნაწილად: ინგლისის აზრით ბოლგარია უნდა გაიყოს სიგანეზედ ე. ი. უნდა იქმნეს ჩრდილოეთის ბოლგარია და სამხრეთისა. რუსეთი კი თუმცა დაჰპირებია ინგლისს, რომ წინ არ აღუდგება ინგლისის სურვილს, მაგრამ მაინც უფლება აქვს დაუმტკიცოს კონგრესს ის სარგებლობა, რომელიც წარმოსდგება ბოლგარიის გაყოფისაგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილად. ინგლისის აზრით ჩრდილოეთის ბოლგარიას უნდა მიეცეს სრული საპოლიტიკო დამოუკიდებლობა, სამხრეთის ბოლგარიას კი თუმცა მიეცემა აგრეთვე თვით არსებობა, მაგრამ მმართველად ექნება გუბერნატორი, რომელიც დანიშნულ უნდა იქმნეს ხონთქრის მიერ ევროპის სახელმწიფოთა ნებადართვით.

ბოლგარიის მილიციის უმაღლესი აფიცრები დაინიშნებიან აგრეთვე ხონთქრის მიერ სახელმწიფოთა ნებადართვით. სამხრეთის ბოლგარიის საზღვარი დასავლეთით არ უნდა გადასცილდეს ნოვი-ბაზარს და სამხრეთით არ უნდა შეეხოს ეგეის ზღვას. ოსმალეთის ჯარს შეეძლება შევიდეს სამხრეთ ბოლგარიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვინიცობაა აჯანყება ატყდება ან გარეშე მტერი შეუვარდება. მაგრამ ინგლის სრული ნება უნდა მიაცემინოს ოსმალეთს საკმაო ჯარი იყოლიოს სამხრეთ ბოლგარიის საზღვარზედ. ინგლისი თანახმა არის, რომ რუსეთმა შეიძინოს ბათუმი, ყარსი და დაპყრობილი ადგილები მცირე აზიაში, მხოლოდ ინგლისს უფლება ექმნება იზრუნოს, რომ ხელუხლებელ იქმნეს ხონთქრის დანარჩენი სამფლობელო მცირე აზიაში. რუსეთიც, თავისის მხრით, მოვალეა ვეღარ გადაცილოს თვისი მფლობელობა ამა საზღვარს. ბესსარაბიის შესახებ ინგლისი იძულებულია გამოაცხადოს თვისი ღრმა მწუხარება მასზედ, რომ რუსეთი უსათუოდ თხოულობს მის შეძენას. მაგრამ რადგანაც სხვა სახელმწიფო, რომელთაც ხელი უწერიათ პარიჟის სიგელზედ, არა აქვთ განზრახვა თოფ-იარაღით დაიცვან ამა სიგელის მიერ დადგენილი რუმინიის საზღვარი, ამიტომ ინგლისი არ ეწინააღმდეგება გარდაწყვეტილებას ამ საგნის შესახებ, მით უფრო რომ ინგლისის პირდაპირი სარგებლობა არ არის ჩართული ამ საქმეში.

გარდა ამისა ზემოხსენებულ პირშეკრულობაში მოხსენებულია, რომ ინგლისსაც ხმა უნდა ჰქონდეს ეპირისა, თესსალიისა და სხვა ოსმალეთის სამფლობელოთა მოწყობილობაში.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ იმედი უნდა გაუწყვიტოს საბერძნეთს, რადგანაც, როგორც სჩანს, ინგლისს განზრახვა აქვს ბერძნული პროვინციები ისევ ოსმალეთის ხელში დააგდოს. საბერძნეთის აზრით ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ მშვიდობიანობა არ დამყარდება, ვიდრე ეს პროვინციები საბერძნეთს არ შეუერთდებიან. მაშასადამე ამ მხრით იმედი არ არის, რომ კონგრესმა მკვიდრი შედეგი მოიტანოს აღმოსავლეთის საქმის შესახებ.

რაც შეეხება კონგრესის მოღვაწეობას, მის შესახებ, როგორც მოგეხსენებათ, დიდი საიდუმლოება სუფევს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ბევრი რამ ისმის, და თუ დეპეშით გამოგზავნილი ამბები მართალნი არიან, ჯერ-ჯერობით ცნობილია შემდეგი: რუსეთს დაუთმია კონგრესისათვის ბოლგარიის საზღვართა შესახებ, ასე რომ ბოლგარია არ უნდა გადასცილდეს ბალკანიის მთებს. ამა მთების ციხე სიმაგრენი ოსმალებს უნდა ეჭიროთ. ამის ბადლათ რუსეთის მოთხოვნილებისა მებრ სამხრეთ ბოლგარიაში აღიარებულ უნდა იქმნეს უსათუოდ თვითარსება (АВТОНОМІЯ), და ამ ბოლგარიაში უნდა იდგეს ოსმალეთის მილიცია და არა ჩვეულებრივი ჯარი. ოსმალეთს შეუძლიან დაიჭიროს ბოლგარიის საზღვარზედ სიმაგრეები. თვითონ ბოლგარიამ უნდა ამოირჩიოს თვისი მთავარი. რაც შეეხება მცირე სახელმწიფოთ, რომელნიც კონგრესში მონაწილეობას თხოულობდნენ, საბერძნეთს კი აჰსრულებია წადილი, მაგრამ რუმინიის შესახებ კი იმედი არ არის, რომ მისი ხმაც შეისმინოს კონგრესმა. საბერძნეთს მოისმენენ მხოლოდ იმ საგანთა თაობაზედ, რომელნიც პირ-და-პირ შეეხებიან მას.

გორჩაკოვს კონგრესში უთქვამს თურმე შემდეგი: „ჩემმა ამხანაგებმა ბევრი რამ დასთესეს და გადააჭარბეს კიდეც იმ დათმობას, რომელიც წინადვე ჰქონდა რუსეთს განზრახული. მაგრამ კარგად ვიცი რა გრძნობაც უღვივით ჩემს ამხანაგებს, და ამიტომ არა ვითარს უარს არ ვჰყოფ მათ გარდაწყვეტილებას. ხოლო მე მსურს გამოვაცხადო, რომ ეს მსხვერპლი მოტანილია მხოლოდ მშვიდობიანობის სურვილის ძალით და არა ვითარი ანგარობა არა სუფევს“. ბიკონსფილდმა განუცხადა თ. გორჩაკოვს კონგრესის პატივი ამა მსხვერპლისათვის და აღიარა იმედი, რომ შემდეგ მოლაპარაკებაში თ. გორჩაკოვსაც იმ გვარივე მიდრეკილება დაუხვდებათ.

—

პარიჟში, 5 ამ თვეს შესდგა ყველა ქვეყნების მწერალთა კრება, რომელსაც უმთავრესად აქვს განზრახვა განიხილოს და გამოიკვლიოს სალიტერატურო საკუთრება და მოამართოს ხეირიანად და მკვიდრად. საფრანგეთის მწერალმა ედმინდ აბუმ შემდეგის სიტყვით აღიარა კონგრესის განზრახვა: „საჭიროა უცხო ქვეყნის მწერლის უფლებათა დაცვა; ამისათვის დადგენილ უნდა იქმნეს შესაფერი ხალხთა შორის კანონი; საჭიროა რომ წიგნიან წერილი რამ საზღვარ გარედ არ გამოიცეს თვით ავტორის ნებადაურთველად.» წარმოდგა შემდეგ ვიკტორ ჰუგო, კონგრესის თავმჯდომარე, და სთქვა სხვათა შორის შემდეგი: «აწინდელის დროის დიდებაც იმაში არსებობს, რომ იგი სიტყვას აძლევს, ალაპარაკებს ცივილიზაციას. წრევანდელმა წელიწადმა აღიარა პარიჟის გამოფენით აღებ-მიცემობისა და წარმოებების ერთობა, ვოლტერისათვის დღესასწაულობით—ფილოსოფიათა ერთობა და ამ კონგრესით მწერლობათა ერთობა.

«აღებ-მიცემობა და ნივთიერი წარმოება ეძებს სარგებლობას, ფილოსოფია ეძებს ჭეშმარიტებას, ლიტერატურა ეძებს მშვენიერებას (lebeau). სარგებლობა, ჭეშმარიტება, სიმშვენიერე, აი ის სამგვარი მიდრეკილება, რომლისათვის იღვწის კაცობრიობა.

«თქვენ აქ ხართ, ამ დიდებულ პარიჟში, უფალნო დესპანნო ადამიანის ჭკუა-გონებისა, მშვიდობა თქვენი ნახვა! საფრანგეთი გაძლევთ სალამს! შევიდეთ ერთად დიდებულს სამშობლოში, ე. ი. ჭეშმარიტებისა და სამართლის სამფლობელოში.“ შემდეგ პოეტმა ქება შეასხა სწავლას, განათლებას, აზრთა განვრცელებას. «უცოდინარობა არის ბინდი, რომელშიაც ტრიალებს სიბოროტე,» დაუმატა მან.

## რუსეთი

ხუთს თიბათვეს, პეტერბურღში მოხდა ერთი საშინელი და ღირს შესანიშნავი ამბავი. აპრაკსინის ქუჩაში, შუადღის სამ საათზედ, ერთს ვაჭარ კაცს პეტრე ნიკიტინს დაუნახავს, რომ ვიღაცა მატროსს (ზღვის ჯარის კაცს) მის სახლიდამ ბოხჩა მოაქვს. ნიკიტინს ქურდად უცვნია ის კაცი, გამოსდგომია და დვორნიკების *) შემწეობით დაუჭერია კიდეც. დვორნიკებს, რომელნიც კაზანის თათრები ყოფილან, წაუვლიათ ხელი მატროსისათვის და დროშკასთან მიუყვანიათ პოლიციაში წასაყვანათ. მატროსს დაუყვირნია: „ბიჭებო, მიშველეთ! თათრები მკლავენ!„ ამ ყვირილზე მისცვივნია თურმე მრავალი ხალხი (მომეტებულად სხვა და სხვა ხელოსნები, რომელნიც ამ ქუჩაში გროვდებიან საუფლო დღეებში) და გაუთავისუფლებიათ მატროსი დვორნიკებისაგან. იმ დროს ვიღასაც დაუყვირნია: „თათრებს უნდა ვცემოთო“ და ამოდენა, თითქმის ხუთი ათასი კაცი აღშფოთებული და ნახევარზედ მთვრალი ხალხი შეკვარდნილა იმ ეზოში, რომელსაც ეკუთვნოდნენ დვორნიკები. ამათ, რასაკვირველია, შეშინებიათ და დამალულან. ხალხს დაუწყია მათი ძებნა. ჯერ შესულან დვორნიკის სადგომში, სადაც დახვედრიათ ვიღაცა მოვაჭრე თათარი და მეზობლის სახლის დვორნიკი. ხალხს დაუწყვია მათთვის ცემა. შემდეგ კიბეზედ უპოვიათ უფროსი დვორნიკი, და ძალიან უცემიათ. მერე ვიღასაც უჩვენებია, რომ ამა და ამ ოთახებში კიდევ ერთი თათარი დვორნიკია დამალულიო. გაბრაზებული ხალხი ასულა თურმე და უნახავს ვიღაცა დედაკაცი, რომლისათვისაც უთქვამთ: თუ თათარს არ გამაჩვენ, შენ ბავშვს ფანჯრიდამ გადავაგდებთო. კაცს უმაწვილი წაურთმევია და უთქვამს—„თუ ჩემ შვილს გადააგდებთ, მეც თან გადამაყოლეთო“. მუქარის აღსრულება ვერ გაუბედნიათ. ამ დროს დვორნიკმა, რომელიც მართლა აქა ყოფილა, სხვის გადასარჩენად თავისი თავი გადუგდვია ფანჯრიდამ გადავარდნილა. (მესამე სართულიდამ). ეზოშიაც ხალხი მდგარა, რომელსაც მოუტაცნია ეს უბედური და დაუწყვია ცემა. გარდა ამისა გაბრაზებულს ხალხს დვორნიკის სადგომი სრულიად აუოხრებია: ფანჯრები დაულეწია, მებელი ლუკმა-ლუკმა უქცევია და ეზოში გადუყრია; ქვეშაგები და ტანისამოსი ნაკუწ-ნაკუწად დაუფხრეწია.

ერთის სიტყვით, ისეთი ყოფა უქნიათ, რომ ადგილობრივ პოლიციასაც კი ვერა მოუხერხებია რა და ჟანდარმების მიშველებაც დასჭირებიათ, და ამათ ძლივძლიობით გაუყრიათ ხალხი და დაუტუსაღებიათ მოთავენი. ამ არეულობაში თუმცა არავინ არ მომკვდარა, მაგრამ დაჭრილნი კი საკმაოდ არიან (ნამეტნავად თათრები—დვორნიკები). რაც შეეხება მატროსს, მას ამაობაში გაპარვა მოუსწრია.

ზემოდ მოგახსენეთ, რომ ეს ამბავი ღირს შესანიშნავია-მეთქი. მამულისა, სამშობლოისა, თვისის გვარტომობისა, თუ სარწმუნოების მოყვარეობა კარგი და საქები რამ არის. მაგრამ იგი არის სასარგებლო და ნაყოფიერი ძალა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას უძევს ნიადაგ სრული და თვით ცნობილი გრძნობა და გაგება; როდესაც იგი იმ ცხოვრებას მოსდევს, რომლისათვის ყოველს კაცს გულდაჯერებით შეუძლიან იკისროს პასუხის გება,—იმ ცხოვრებას მეთქი, სადაც სუფევს გრძნობიერი და განვითარებული ურთიერთობა. მაგრამ როდესაც ცხოვრება გარემოცულია თვალ გაუწვდენელის სიბნელით, როდესაც დღეს ერთს აღებინებენ ხმას, ხვალ მეორეს, (რა გვარ წვრილსაც მოითხოვს დღევანდელი თუ ხვალინდელი საჭიროება), მაშინ ნუ გაიკვირვებთ თუ თვალწინ დაგიდგათ გასაოცარი, მოულოდნელი და მასთანვე საზიზღარი მოვლენა; ნუ გაიკვირვებთ თუ მოგიგეს „ჩვენ ვართ შენი ხორცი ხორცთაგან, ძვალი ძვალთაგან.“

---

## მგზავრის შენიშვნები.

გაზაფხულს ორის სიამოვნებისათვის მოველოდი: ერთის მხრით გადავრჩებოდი შემავიწროებელს ზამთარს და მასთან ხანგრძლივს ტყვეობასაც, მეორეს მხრით, გაზაფხულზე მეწადა პატარა მგზავრობა სამშობლოსკენ.

გაზაფხული თავისის მშვენიერებით, ახალის გაღვიძებულის ბუნებით, როცა გზაზეა კაცი, ასიამოვნებს, ატკბობს თვალსა და სამშობლოში წასვლა კი— გულსა.

*) დვორნიკები არიან სახლისა და ეზოს მომვლელნი და ღამით ჩვენი ასასების თანამდებობას ასრულებენ.

როცა ეს ორი სიამოვნება შეერთდება ერთად, მაშინ ის კაცი, რომელშიაც ესენი სუფევენ, არის უსაზღვრო ოცნებაში და მეტის სიხარულით მთვრალი, მაგრამ, რაც გინდ ოცნებაში და სიმთვრალეში იყოს, მაინც მგზავრობის თადარიგს უნდა შეუდგეს. მეც ამ ჰაზრისა ვარ.

„წასვლა ჰსჯობს წამსვალისა
არ დაყოვნება ხანისა."

ჩემი ხელობა იმისთანა ხელობაა, რომ მუდამ და თავის დროზე, როცა მინდოდეს, თავისუფლება არა მაქვს—საცა ვისურვებ ვერ წავალ: მე ბედმა სამსახურის კაცად გამომიყვანა. ხომ იცით, სამსახური კაცს არა თუ ჰყრის სამშობლოს და აობლებს, არამედ ჰკოჭავს კაცს და ვაი იმას ვინც შეიკოჭება, ე. ი. სამსახური არის იმისთანა ჯაჭვი, რომელიც ჰთოკავს კაცს, როგორც გაშინაურებულს დათვს და [illegible] იმისი ხელობაც მეორე არის ჯაჭვია, რომელიც საიდაც ისურვებს, იქით წაიყვანს....

რა აღტაცებაში და სიხარულშია ის კაცი ანუ დათვი, რომელიც ხანდისხან შემთხვევით განთავისუფლდება იმ ჯაჭვისაგან და თავ[illegible] ისუნთქოს?! მაგრამ, საუბედუროდ, რაც გინდ [illegible]ულში და აღტაცებაში იყოს, მაინც ის ჰაზრი, რომ [illegible] ის კიდევ უნდა ჩავარდეს იმ მახეში, მავის ღრუ[illegible] უქცევს იმას გამცვდარ გულზე. რაც უნდა იყოს მაი[illegible] უნდა დავემორჩილოთ გარეშემოებას. რა გ[illegible], ჩ[illegible] ოფელი ასე ბრიყვულად არის ნაშენი.... მართალია ჩვ[illegible]ევრი რაიმე არ გვინდა, მაგრამ ძალად მოგვანდომებენ ხოლმე—ნათქვამია: ძალა აღმართს მოხნავსო....

როცა მოვიდა დრო და დროებით რომ მოვიშორე კისრიდამ ჯაჭვი, მაშინვე შევუდექი ბეჯითად, როგორც მოგახსენეთ, მგზავრობის თადარიგს. კაცი რომ ერთ საქმეს სიხარულით და სავსე ნდობით შეუდგება, მაშინ ის საქმეც უეჭველად კარგა წავა, რადგან, როცა კაცი მხიარულად არის, იმისი ტვინიც მჭრელ-მახვილად არის და ყველაფერის მიხვედრა აქვს. მეც შემთხვევით ვისარგებლე და ვიფიქრე: მარტო წასვლა ჩემი უიმისოდაც ცარიელა ჯიბესათვის მავნე იქმნება-თქო, სჯობია, თანა მგზავრი მოვნახო, უფრო სასარგებლო იქმნება კიდევ, მეთქი. ვსთქვი და თქმა საქმედ გადავაქციე და ისე სიკეთე შენა გქონდეს, უფალო მკითხველო, რა კარგი თანამგზავრი მე ვიშოვნე. ახლა საქმე იმაში კი არ არის, რომ ვიშოვე, საქმე იმაშია რომ ჩინიანი თანამგზავრი ვიშოვე, მაშ გაიგეთ?..

როგორც ჩვეულებაა, როცა გავიცანით ერთმანეთი, ჯერ გავზომეთ ერთმანეთი მოკინკლავე ყვინჩილებივით და აღმოჩნდა, რომ ჩემს თანამგზავრს ახლად დაუსრულებია კურსი და გაუმწესებიათ სადღაც სამსახურში და იმ სადღაცში მიდის.....

„ჩინიანი" მოგახსენეთ, მაგრამ ჩემს თანამგზავრს ჩინი მარტო მხრებზედ ჰქონდა, თვალებში კი, უკაცრავად, ნუ ვიქმნები.

—მაშ მივდივართ? მკითხა ჩინიანმა და ზედაც დაამატა: დიდად სასიამოვნოა ჩემთვის, რომ თქვენთან მივდივარ, რადგან აქაური ხართ, ზოგიერთს ინტერესო საგნებს ამიხსნით—გამომადგებით.

—ახ, ჩემთვის (უფრო ჯიბისათვის) მომეტებულად, უფალო, სასიამოვნო გახლავს, რომ თქვენთან წასვლის ბედნიერება მაქვს, მეც მივეცი ხურდა ჩემს „ჩინიანს."

სამგზავროდ მზად ვიყავით. ჩავსხედით რუსულ ურემში და დავადექით გზასა. წინ გადაგვეშალა მშვენიერი მწვანე ბალახით მოსილი, დიდ-მარხვასავით გაჭიმული ქვიშხეთის მინდორი. ქვიშხეთის მინდვრის სიდიდემ, როგორღაც შემაკრთო, მაგრამ იმითი ვანუგეშე ჩემი თავი, რომ დიდ-მარხვას, იმის ჯონჯოლ-ლობიოს გაუძლე და ამას ვერ გაუძლებ მეთქი.

ჯერ მე და ჩემი „ჩინიანი" ვიყავით ჩაფლული ფიქრებში. მარტო ისმოდა ზარის წკრიალი და ჩვენი ურემის თვლების ხრიალი შეერთებული ცხენების ფეხის ხმასთან. ჩემი თანამგზავრი რას ფიქრობდა, სად მირბოდა ამისი აზრი, ახლაც არ ვიცი; ჩემი კი ძალიან შორს ფრინავდა და იმისთანა ალაგს, რომლისთვის მე იმ წამს შევწირავდი ჩემს მთელ ახალგაზდობას; უკეთუ ის ფიქრი და ოცნება გამართლებული ყოფილიყო, მე ჩემს თავს უბედნიერეს არსებად ჩავთვლიდი.

ჩვენ გარშემო-არეს ხავერდივით მწვანეთ მორთული მინდვრები და ნორჩი-ახლად ამოსული ყანები ამშვენებდნენ, როგორც კეკლუც ქალს ახალი ტანისამოსი და სამკაული:

მტკვრის ღუღუნმა გამოჰყვიყვანა დროებითის ძილისაგან. ოჰ, რა ნაირად გამეხარდა, როცა ვნახე ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი მტკვარი! გამეხარდა, მაგრამ, მაგრამ რა ვქნა, რომ ის მტკვარი აღარ იყო, რომელიც მენახა ჩემს ყმაწვილობაში—ის სიწმინდე, ის სინორჩე, ის სიმშვიდე აღარ ეტყობოდა. მტკვარი აღელვებული, ბრაზიანათ მირბოდა და ისე უწყალოდ ბუდბუტებდა, რომ მე გული გამისქდა კინაღამ. ის არის საქმე და უბედურება, რომ ვერ გავიგე და არ ვიცი, რა იყო მიზეზი იმის შფოთისა....

ვეკითხები იმის მშვენიერ კიდეებს: რათა, რათ არის ესე გამწყრალი მეთქი?—პასუხის მომცემი არავინ იყო.

რაც გინდ გამწყრალი იყოს მტკვარი, მაინც მე მიყვარს იგი. თუმც თერგს მოჰყავს ბევრი აღტაცებაში თავისის ხმოვანებით და მიისხანე სირბილით, მდიდრად მორთულის კიდეებით და უღვიძებს ბევრს გრძნობას ადამიანსა, მაგრამ არა, მე ის არ მიყვარს; მე ის უნახავად შემძულდა, რადგან ის მამულის ერთგული არ არის, როგორც მტკვარი. ის მამულისგან მირბის უცხო ქვეყნებში და ამშვენებს სხვას, და არა ჩვენსას...

მე მტკვარი მისთვის მიყვარს, რომ ის არის მამულისათვის თავ-განწირული და ერთგული. ის ჰყოფს იმის ჭირს და ლხინს შუაზე და უგრილებს ბევრ მამულის შვილს დახშულს გულს....

რომ მივედით ბორჯომის ხეობაში ჩემი „ჩინიანის“ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. სასიამოვნოთ წინ წარმოგვიდნენ მრავალი და ათას ნაირი თვალის და გულის დამატკბობელნი სურათები: მაღალის ზურმუხტის ფერის ტყეებით შემოსილნი კლდეები, ძველი ციხეები, მაღლიდამ გადმომყურალნი, რაღაც საიდუმლო შეხედულებით და ზედ ნისლის თეთრ ჩადრ წამოფარებულნი, ვის ყურადღებას არ მიიქცევენ? მეტადრე იმისთანას ას, რომელსაც ვაკე მინდვრების მეტი არა უნახავს რა...

რამდენიც წინ მივდიოდით, იმდენი ბუნება მშვენიერდებოდა და ამ სიმშვენიერემ ჩემი ამხანაგი სულ გადარია. ის იმ წამს მზად იყო ორი ჩინის მაგიერად ჰქონოდა ოც-და-ხუთი, მაგრამ საუბედუროდ ორიც არა ჰქონდა საწყალს მთელი...

მაინც გულმა არ მოუთმინა, გაიკეთა პანსნები—სათვალები და ისე ოთხის თვალით დაიწყო ყურება, მაგრამ იმითაც არაფერი არ გამოვიდა, რადგან ოთხი ერთად არა ღირდა!

ახალ-დაბასთან რომ მივედით დღე კარგათ გაჩაღებული იყო. ახალი-დაბა არის პატარა ორმოც-და-ათამდი კომლიანი სოფელი, ნაშენი მტკვრის პირზე მარჯვენა მხარეზე. აქ არის სახლი ტყის მცველისა და იქიდამ იგზავნება ტივები ქალაქს.

ამ სოფლის ახლო იმისთანა ბუნება იყო გონების აღმტაცე და იმისთანა სურათი, რომ რაც გინდ გაჩქარებული მგზავრ—მხატვარს გამოევლო, მაინც უნებურად გაჩერდებოდა და იმ ადგილის მდებარეობას გამოხატავდა ქაღალდზედ.—წარმოიდგინეთ კუნძული, რომელიც ჰყოფს მტკვარს ორ ნაწილად; მტკვრის ერთ ტოტის კიდიდამ კუნძულამდისინ გადადებული ხიდი, რომლის ბურჯებ შუა მტკვარი მჩქეფრად მირბის აქაფებული; ცოტა შორს-მაღლა კლდეზე ძველი ციხე; მარჯვნივ გაფენილია სოფელი, მშვენიერი ტყე და ბაღები; ალაგ აყვავებული თეთრ ბამბასავით ტყემლის ხეები და ბევრი ამისთანა ბუნების მორთულობა. მაგრამ, ოჰ! მე უძლურს სად შემიძლია, ჩემი სუსტის კალმით აღვწერო ჩვენი სამშობლოს მშვენიერება!..

კიდევ რაღაებიც ბევრი იხატებოდა ჩემს ჰაზრში ამისთანები, მაგრამ ღმერთი გაუწყრა, და ჩემა „ჩინიანმა“ ამოიღო ხმა და გაჰფანტა ეს ტკბილი ჰაზრები.

— ამ ხშირ ტყეში, მე ვგონებ ბევრი ნადირი უნდა იყოს? მკითხა მან.

— როგორ არა: გახლავს საკმაო-მეთქი.

— რა ნადირი შეხვდება კაცს აქა?

— ირემი, შველი, მელა და მგელი.

— დათვი არ დაიარება ამაებში?

— ბევრად არა. დადიან თითო ორ-ორა.

— ოო! ჩვენში ტყეები სავსეა დათვებითა; უფრო მომეტებულად სხვილი დათვები იცის ჩვენში — ტყე სავსეა.

სულ დაწვრილებით აღვწერო ჩემი მგზავრობა და ის შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე გზაში, ბევრზე წავა. ვაი თუ მკითხველიც მობეზრდეს და ერთი გულიანათ შემომიკურთხოს მისთვის, ვგონებ, უფრო უპრიანესი იქმნება, რომ შემოკლებით ვიარო: ისე რომ არც მწვადი დაიწვას და არც შანფური.

ისე სჯობია.

შუა დღე იყო, როცა მივედით ბორჯომს. ჩვენი იქ მისვლა და უბედო პატარძლის ბედისავით შხაპ-შხუპიანი წვიმის მოსვლა ერთი იყო; ფოშტის სტანციაში დავაბარეთ, რომ ცხენები მზად ჰყოფილიყო, მე და ჩემი ამხანაგი წავედით სადილის საშოვნელად და კიდევაც ვიშოვეთ, თუმც მწირი, მაგრამ გემრიელი კი.

ბორჯომი ახლად ირთვება ბუნებით. როგორც ბევრი სახლებია, ისე ხალხი იქ იმისდაგვარად არ არის, რასაკვირველია. ბორჯომი ზამთარში წარმოადგენს გამქრალ ფუტკრის სკას. ახლა კი წარმოადგენდა ახალგაზრდა ახალ „მოდნის“ ქალსა, რომელსაც ახლად დაეწყოს ტუალეტის-მართვა; მაგალითად, ისე რომ კაბა ჰქონოდეს ნახევრამდის ჩაცმული, ყელს, ყურს და თმას, კაბის ჩაცმის დროს ისწორებდეს სარკის წინ და ზოგის ტანისამოსის ჩაცმას ახლად იწყობდეს....

სადილი გავათავეთ. ცხენები მზათ იყო. ათი წუთის შემდეგ ვიყავით გზაში. წვიმის გამო [illegible] ატალახდა. ჩვენის ურემის გორგორები გვესროდა უწყალოდ ტალახს—არ ზოგავდა არც ტანს, არც ულვაშს და არც საბრალო წვერს, უფრო იტანჯებოდა საწყალი, [illegible]საგან დაჩაგრული წვერი.

ელია წმინდამ გადმოგვხედა: გამოიდარა და ჩვენც მივედით აწყვერს. აქ ბუნების ფარდამ გამოიცვალა სახე ხშირის ტყით მორთულის მთების მაგიერად, აქ ეჩხირებიან თვალში კაცს ტიტველი მთები.

თითქოს მთელ გზას არ ავცილებივართ ერთგულს მტკვარს, გეგონება ერთი თანამგზავრიც ჩვენი ეგ იყოს. მოდი და ნუ შეიყვარებ!

აწყვერი მდებარეობს მტკვრის პირზე, აქვს მშვენიერი მდებარეობა; აქ მაღალ კლდეზე დგას თავის დროზე მაგარი ციხე. ეს ციხე ისე ახალია და ისე მშვენიერი, რომ გეგონებათ დიდი ხნის ნაშენი არ იყოსო. ამ ციხეს, როგორც მიამბო ერთმა იქაურმა, ახირებული სახელი დაურქმევია თამარ მეფას, რომლის ნაშენიც არის. ეს ციხე აუშენებია, რასაკვირველია, იმ დროს, როცა ჰქონია გაჭირება მტრისაგან. მალიანიც საჭირო ყოფილა ამ ალაგას ციხე მტრისაგან დასაცველად თავისის საყვარელის ერისა. როცა გაუთავებია იმ ციხის შენება, სიხარულით უთქვამს: « . . . . . . . . » და იქიდამ დარჩენილა სახელად «აწყვერი.»

აწყვერში სულ ას მოსახლეზე მეტი მცხოვრები ირიცხება. იმათ რიცხვში არიან: ქართველები, სომხები, ურიები და თათრები (გამაჰმადიანებულნი ქართველები.) თათრებს აქვთ მადრესე—შკოლა. შკოლაში ასწავლის მოლლა. აწყვერი განიყოფება ორნაწილად—ერთში ცხოვრებენ გლეხები, მომეტებულად თათრები, მეორეში ვაჭრები და იწოდება «დაბათ.» ერთი უბანი ერთდება მეორესთან გძელის უბრალო ხიდით, გადადებულით მტკვარზე.

აწყვერს რომ მოვშორდით, ბუნების მშვენიერება მომეტებულად გაგვშორდა და წინ გადმოგვეყუდა უფრო და უფრო პოსლიკა მთები და ტიტველა მინდვრები. კარგა რომ გამოვცილდით მეგლს, რომელიც არის ახალციხიდამ ხუთ ვერსტზე, უეცრად დავინახე ახალციხე. გული როგორღაც შემითრთოლდა—ეს თრთოლა იყო სიყვარულისა. დავინახე ის ახალციხე, სადაც ჩემი პირველი ჟამი ახალგაზრდობისა გამიტარებია. ავივსე მრავალის რაღაც უცნაურის გრძნობით, ერთის წუთის შემდეგ ეს გრძნობა გადამექცა უსიამოვნებად, როცა დავინახე შორიდამ ნაცარ მიყრილი ახალციხე. შედარება ჩემი არ იყო შეცდომილი, რადგან ნამდვილად ახალციხეს აქვს იმნაირი მგზავსება ნაცარ მიყრილს კაცის პირის სახესთან, როგორც ორს ცვარს წყლისა ერთმანეთთან. ჯერ გამოჩნდა ახალი ნაწილი ახალციხისა და მერე ეგვიპტის პირამიდები—ძველი ქალაქის დარბაზების მაღალი ბანები.

ახალციხე დამხვდა ტალახით, ტბებით სავსე. ჩემდა საუბედუროდ მე უნდა ავსულიყავი ძველ ქალაქში, მაგრამ ჩემმა მეურმემ არ მოინდომა ჩემი აყვანა, თუმცა იმისი აუცილებელი ვალი იყო, მაგრამ თუ არ უნდა კაცს, რა უნდა უყო? მაშინ კიდევ ჩემს ჯიბეს მივმართე და მეურმეს ჩაუდე ჯიბეში წკრიალა აბაზები და ავედი ძველ ქალაქში. სწორედ მოგახსენოთ აღმართმა გაგვიჭირვა საქმე. როგორც იყო ამოვცოცდი და აღმართის თავზე შევწირე მადლი ბახუსტას და ვადიდე დიდი ალლახი. ამ ჩემის ლოცვისა მოწამე იყვნენ: ჩემი მეურმე და უფანრო ფარანის სვეტი, ობლად მდგომი აღმართის თავზე. ეს სვეტი მარტო ჩემის ლოცვის მოწამე როდია; ის არის მოწამე კიდევ იმისა, რომ დიდი ხანია იმის თავს არ ჰღირსებია ფარანი და კიდევ იმისა, რომ მთელ ძველს ქალაქს მარტო იმისი ფარანი ანათებდა როდესღაც წარსულ

საუკუნეში და ახ, კიდევ იმასა, რომ ძველი ქალაქელები— ქართველები არ არიან სინათლის ღირსნი. ისინი ბნელაში უფრო მოსვენებით არიანო....

როგორც მშიერს ჭამა სჭირდება, ისე დაღალულ კაცს-მგზავრს მოსვენება. მე ის ნახევარი დღე და მთელი ღამე შევწირე ჩემს მოსვენებასა. მეორე დღეს გამოვედი **ბაზარში**, როგორც თავის მოყვარე ნიკორიანი კაცი. რა საკვირველია, მინდოდა ცხვირ აწევით მეარა, ვა, ხუმრობაა კაკარდიანობა! მაგრამ საუბედუროდ ძველი ქალაქის ოღრო-ჩოღროებმა კისერში ჩამკრეს: ორჯერ-სამჯერ ფეხი წავჰკარ ლოდებს, წავიბორძიკე, მაშინ თავი დავიღე და დავიწყე თავ-დახრილმა, სიფრთხილით სიარული და ვითოხთვალე, რომ კისერიც არ მოვიტეხო მეთქი.

ბაზარში სიოთაზე დამხვდა ეს ამბავი: ერთის ფარანგის მღვდლისათვის ვიღაც უსინიდისოს—ქურდს რვა ქათამი მოეპარა. ახლა საქმე იმაში კი არ არის, რომ მოუპარავს, საქმე იმაშია, რომ მაშინ მოუპარავს იმ ქურდს, როცა საწყალი მღვდელი დიდ-პარასკევს ღამეს ყოფილა ღამის მოქადაგეთ საყდარში....

ბაზარში ბევრის «ხოშგელდის» და ბევრის ნაცნობების შეხვედრის შემდეგ, შემხვდა იმისთანა კაცი, რომელიც, თუმც არ იყო საზოგადოების თვალში გამოჩენილი, რადგან არ იყო სუფთათ ჩაცმული, მაგრამ ამის თვალში კი საზოგადოება ჰქონდა, კარგად და დაწვრილებით კი იცოდა ახალციხის გარემოება.

— რა მდგომარეობაშია ახლა თქვენი შკოლა ძველ ქალაქში? იყო ჩემი პირველი კითხვა, რადგან იმ დროს დავინახე სასახლე, რომელშიაც თავსდება ეს შკოლა.

— ისე თქვენი მტერი ყოფილა, რა მდგომარეობაშიაც ის არის, მიპასუხა.

— როგორა?

— როგორ და ისე, რომ ახლა ჩვენი შკოლა ისე დასუსტდა, ისე დაპატარავდა და შემსუბუქდა, რომ მაღლა ავიდა და ეკკლესიის სახლების ერთ კუნჭულში მიიმალა.

— მასწავლებელი ვინა გყავსთ?

— არავინა.

— როგორ თუ არავინა? შაგირდები ხომ დადიან? თუ მასწავლებელი არ ეყოლებათ, რიღასთვის ივლიან?

— მართალია გვყავს მასწავლებელი, მაგრამ ამისთანა ყოლას უყოლობა სჯობია. აბა, ყარდაშ, კაჭკაჭმა ყვავს რა უნდა მისცეს, თუ თვითონ არა აბადია რა.

ამ დროს მივუახლოვდით ეკკლესიის სახლებს, რომელშიაც თავსდება ახალციხის—რაბათის შკოლა და რომელზედაც ბაასი გვქონდა ჩვენ. იმ დროს შემოგვესმა მასწავლებლის ხმა, რომელიც ამბობდა: «ძმიდა ეგლესია არის ჩვენი დიდი თავი. ბიჯო, ჩუმად იღავი! ვინც ბევრსა ჯამს, ის სუგანია. დასძერე ბიჯო! და სხვა ბევრი ამისთანები, საწყალნი წ. ყ. ჭ. კ—ბი უწყალოდ იტანჯებოდნენ, რადგან ახალციხის ახალ თაობის განმანათლებელს ამ ასოების გამოთქმა ვერ შეეძლო, როგორც ახალციხელს—აზრუმელს სომეხსა.

— აი ეს ტირაცუ გახლავს ჩვენი მასწავლებელი.

ეს სასწავლებელი იყო ერთ დროს კარგ რიგზე. მანდ სწავლობდნენ ძველი ქალაქის პაწაწინა ღარიბი კაცის შვილები, რომელთათვის საძნელო იყო სიარული გაღმა სამაზრო შკოლაში. ამავე შკოლით სარგებლობდნენ მართმადიდებელი ყმაწვილებიც. მაშინ ამ სასწავლებელს მზრუნველად ჰყავდა უფ. მ. მეფისოვი, რომლის ბეჯითობით სასწავლებლის საქმე უკეთესად მიდიოდა. იმან აიღო ხელი და იმ სასწავლებლის ბედიც შეიცვალა «ფური მოკვდა, კასრი გატყდა, ხბოს რაღა დაემართებოდა!»

ეს უფალი, როგორც გავიგე ახლა ახალციხეში მოსვლას აპირებს, დროებითი თუ სამუდამოთ, არ ვიცი. სასურველი იქმნებოდა ყურადღებას მიაქცევდეს ამ სასწავლებელს....

— რატომ არ მზრუნველობთ, რიგზე არ ჩააგდებთ, რომ რიგიან და შესაფერ გზაზე წავიდეს შკოლის საქმე-მეთქი; განა სირცხვილი არ არის ძველის ქალაქისათვის, რომ ერთის შკოლის შენახვა ვერ შეგიძლიათ? უკანასკნელ სოფლებშიც კი აღებენ ახლა შკოლას, თქვენ რა გემართებათ?

— ეჰ, ყარდაშ, რას ბძანებთ, ვინ უნდა უგდოს ყური? ჭკჩდიდი აღები იდარდებენ? ისინი თავიანთვის ცდილობენ და ჩემისთანა არაკასაც გზასაც არ აძლევენ. ხომ მოგეხსენებათ, ახლანდელ დროში ღარიბი ბრძენიც რომ იყოს, მაინც იმისი სიტყვა არ გავა. აი არ იღუპება ეკკლესიის ფულები. ჩვენ სულ უთავურობით ვიღუპებით.—ჯანუმ, ჩვენ თითო ფარებით ვწირავთ ეკკლესიას, რა არის გამშვენდეს ეკკლესია და ჩვენ მკვდრებსაც არგოს. ჩვენი თითო გროშობით შეგროვილი ფულები ჩაიგდეს, ბატონო, დიდმა აღებმა და ბროი-ბროი-

თა სჭამენ. ხმის გამცემი ვინ არის? როგორც ნათქვამია: კოკზით მოგროვილს, ციცხვით მიირთმევენ.

— ვინა სჭამს? ვისზეა ის ფულები?

— დიდ აღებზე: ქ. წ. მ. და ხ....ზე.

— რათა? პირს კი ნუ აღებთ, თვალები გაახილეთ ნუ აჭმევთ რა!

— ვინ არის კაცი, ვინ უნდა იკისროს? აგი მოგახსენეთ მდიდრები დიდი აღები არ იწუხებენ თავს, ღარიბსაც სიტყვა არ გაუდის: აგი ძაღლი თივაზე იწვა, არც თვითონა სჭამდა, არც სხვას აჭმევდა......

— მაშ აქ რომ ასეა, სოფლებში სულაც არ იქნება შკოლები? კიდევ გჰკითხე მე.

— არც ერთ სოფელში.

— ჩემი მობაასე მამშორდა, მაგრამ ეს სასიამოვნო სიტყვა — «არც ერთ» თან კი არ წაიღო.

ამ სასწავლებლის გარდა ქალების სასწავლებელიც არის ძველ ქალაქში, ამ ორ და-ძმების ბედიღბალის შორის ბევრი განსხვავებაა.

პლანი-ახალი ნაწილი ახალციხისა თავისთვის ბატონივით არის. რად არ იქმნება? კაი იმას ვინც უბედოა და უენო!

ძველი ქალაქელები—ქართველები პლანელებს სომხებს შახკამებს (თალგამებს) უძახიან, პლანელები ქართველებს ჭანჭურებსა. მართლა რომ ეს სახელი მჭერმეტყველურად არის მოგონებული ხალხისაგან. მაინც ხალხისაგან მოგონებული ლექსია, თუ ანდაზაა, მეტად მოსწრებულია ხოლმე. წარმოიდგინეთ თავის დღეში შეიძლება, რომ ჭანჭური თალგამთან ერთ ჭურჭელში მოთავსდეს? უეჭველად თალგამი ჭანჭურს გასჭყლეტს. ძველი ქალაქელებიც ისე არიან გაჭყლეტილი სომხებისაგან, როგორც ერთ ჭურჭელში მყოფი თალგამისაგან ჭანჭური.

თავის დროზე სომხებს აქვსთ ხელში გატარებული ყველაფერი: ვაჭრობა და ქალაქის საქმეები. ვაჭრები აქომამდის ამოდიოდნენ ძველ ქალაქში და ახრჩობდნენ იქაურ ვაჭრებს—სოფლელებს რაც მოჰქონდათ გასასყიდლათ უნდა გაეტარებინათ ძველი ქალაქის ბაზრის შუა, რადგან ერთი გზა იყო, მაგრამ ძველის ქალაქელები ძვირად სარგებლობდნენ იმით. ახლა სულაც გათხარა ძველი ქალაქი ახალმა გზამ, რომელიც გაატარეს აბასთუმნისკენ იმისთანა მხარეზე, რომ ძველი ქალაქი თითი პირში დარჩა ალალას.

ქალაქის ყველა ხარჯს კი აძევს მძიმე უღლად ძველს ქალაქს სანახევროდ—ფანრებისა იყოს, თუ სხვა ქალაქის ხარჯი. გროშს არ შეაწევენ ხოლმე, მაგრამ ძველ ქალაქში კი ღამე ფანარი არ არის და დღისით რიგი.... აბა, თუ ერთს ქვრივ ოხერს ერთი აბაზი დაუთმონ. შენ არ მამიკვდები, მკითხველო, იმისთანა ყაზახებს მიუყენებენ, რომ ტაფა-ქვაბის გამოტანა კი არა, ციხის ძირსაც აიღებენ. ქალაქის მმართველობაში რომ მიბძანდეთ, სიამოვნებით ნახავთ ბევრს დატყვევებულ თუნგებს და ტაფა-ქვაბებსა სულ ძველის ქალაქელებისას.

ვაჭრობა ძველ ქალაქში ძალიან დაცემულია, მაგრამ კიდევ ინუგეშებენ მით, რომ იმის ნაცვლად ამუნდედების ვაჭრობა ჩინებულათ მიდის. ესენი, ესე იგი, დალალები იგინივე ფოშტალიონები მარტო ვაჭრობაში არ იქცევიან ვალისამებრ სინიდისიანად, განათლებასაც ავრცელებენ თავგანწირულობით, მაგალითად არ ეშვებიან ტროსტით სიარულსს ახალ მოდაზე ლაპარაკს რუსულის სიტყვების, ფრანციულის «მერცის» შერევით. ოჰ, ბედნიერნო, ცოლებო ბედნიერის ქმრებისანო, გაანათლეთ, გაანათლეთ ახალციხე!!...

მე გ. ი. ცოდვილ კორრესპონდენტებს იმისთანა ბედი გვაქვს, რომ უეჭველად იმათი გაბერილი ქმრები გამიწყრებიან ამ ქაბაზე, ღმერთმანი გამიწყრებიან, რა ვქნა? თუ გამიწყრებიან და, აი მიბძანდნენ მოდნისს, იქ მშვენიერი ცივი წყლები გახლავს —გულები გაიგრილონ.

მართალია ცოტა ხანს დავრჩი ახალციხეში —ძველ ქალაქში, მაგრამ ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ძველის ქალაქისათვის სამარე მზაა, მარტო მიწის წაყრა და ფარჩა-ფარცუმის მეტი არა დასჭირდება. ვიცი, ამაზედაც ძველ ქალაქში მყოფი განათლებული ქალები გამიწყრებიან, რომელთ ისიც სძულს, რომ ჩვენ ცოდვილებთან ერთის ჰაერით სუნთქვენ, არა თუ ერთ საზოგადო სამარეში დაიმარხნენ, და თავიანთი თავები აჭყავთ ზეცამდი და ადიან მაჭმადის ფერიებთან, მაგრამ არა უშავს რა! სამარე იმისთანა საგანია, რომ ყველას მიიღებს თავის წიაღში—მდიდარი, ღარიბი, ლამაზი, მახინჯი, კუდიანი, უკუდო, კურტანიანი, უკურტნო იმისთვის სულ ერთია. ჩემთვისაც სულ ერთია და ის არ შემაწუხებს: გამიწყრებიან თუ არა; რა ვქნა?!

უკანასკნელი დღე ახალციხეში ყოფნისა იყო მშვენიერი და კარგი. სანადირო დღე იყო. გულში ვი-

ფიქრე: აბა, ჩემო უცნობო მეგობარო—უჩინო! დაიბარე შენი შვილდ-ისრიანი ქუთაისელი და აიარეთ შაბანი—ბელისაკენ სანადიროთ. ნადირი მომეტებულად გამრავლებულა. მწევარი და ძაღლი არ დაგზარდება. მიბმანდი ყასაბხანაში, იყიდე ძროხის ან ხარის ბურთი. ჩაბერე, დაკაარ კედელზე, ან ფიცარზე, თან სთქვი: ბურთო, ბურთო გადიდდი! ბურთი გაიზდება. მერე გასხმე; შიგ ჩაყარე ლობიო, ან სიმინდი. წაიყვანე ტყისკენ შენი შვილდ-ისრიანი და ბურთიც თან წაიღე. ბურთს და აჩხაკუნებ თუ არა, ნადირები გამოვარდებიან თავის-თავად. ჰხოცეთ და იყავით! ნახოცი ნადირი შეჰსწირეთ ბახუსს და მის თაყვანის მცემლებს. მაშინ იქმნება იმათ კარგის თვალით გადმოგხედონ ამ გამონაცრულს ძველს ქალაქს....

რაც გინდა ტკბილი ყოფილიყო ახალციხური მაქალამა და ფახლავა და უტკბილეს მეგობრებთან დროების გატარება, მაინც უნდა გამოვმშვიდობებოდი ახალციხეს.

მეოთხე დღეს მივეცი ახალციხეს ჩემი უკანასკნელი სალამი. დღე გრილი იყო, გზა ტალახიანი. მზე კარგათ ამოვიდა, როცა მივედით მონაძის ხიდთან. მონაძის ხიდი ახალციხიდგან რვა ვერსტზედ, გადებულია მტკვარზედ, რომელიც ცოტა ქვეით ერთდება ფოცხოვ-ჩაითან. წინ გვედგა დიდი აღმართი. რადგან ტალახები იყო, მისთვის ცხენებს გაუძნელდათ ჩვენი აყვანა, ამიტომ იძულებული გავხდით, რომ აგვეარა ეს აღმართი ფეხით. თუმც ჩემს «ჩინიანს» ამხანაგს (კიდევ ჩინიანი შემხვდა) გაუძნელდებოდა ეს, მაგრამ რა გაეწყობოდა: უნდა ბედს დაჰმორჩილებოდა.

აღმართის ნახევარზედ მოვეწიეთ ვიღაც გლეხებს. გლეხები სულ ქართველები იყვნენ—მესხებთაგანი. ამათი ტანისამოსი სულ არ ედარება ქართველების და იმერლებისას—მოკლე შალის ნაოჭიანი ჩოხა, წითელი საყელოიანი სამოსლის პერანგი; შალისავე თავიანთი ქსოვილი ტოტებზე ვიწრო შალვარი, წინდა, პაიჭი ჭრელი, და ბურდღლიანი ცხვრის ტყავი. როგორც ტანსაცმელში, ეგრეთვე ლაპარაკშიც განსხვავებას შენიშნავთ. ამათი ლაპარაკი არ არის ჩქარი და თავაზიანი, როგორც იმერლებისა, და ისე თამამი, როგორც ქართველებისა. ისინი ლაპარაკობენ ოსმალოს თათრების კილოზე და ბევრ თათრულ სიტყვებს ურევენ; „ში"-ს მაგიერად ხმარობენ მუდამ „ჩი"-ს.

— გამარჯვება თქვენი, ძმებო! მე ვუთხარი. სადაურები ხართ და საიდამ მოხვალთ! ვკითხე გულის ქაქანით, რადგან აღმართმა დამღალა. იმავე დროს გავჩერდი, უკან რომ მოვიხედე. წინ წარმომიდგა მაღალ კლდეზე ძველი კოშკი და მტკვრის იქით სერზე—საფარას ეკკლესია. ბუნება სამხატრო იყო.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო შენი ჭირიმე მიპასუხეს ერთბაშათ გლეხებმა. ჩვენ ხიზანი ბავრელები ვართ, ჯანუმ. ახალციხეში ვიყავით, ახლა შინ მივდივართ, ამიხსნა ერთმა (ოთხნი იყვნენ).

— ახალციხეში რისთვის იყავით?

— ემენისთვის, გენაცვა, ამ ჩემს არხატაშს (ამხანაგს) ცოლი გაექცა და იმის მოსაყვანად წავედით. ბევრი ყაირათი ვქენით, მაგრამ ვერა გავაგონეთ რა. ნათქვამია, თქვენ ხომ ემენჩი—შკოლაჩი ნასწავლი ხართ, უფრო კარგათ გეცოდინებათ: დედა-კაცმა გაიწია, და ცხრა უღელმა ხარმა ვერ შეიმაგრაო. აბა ამ დივანას (სულელს) ჰკითხე ვით ჯანუმ, რა ამისი საქმე იყო ქალაქელის ქალის შერთვა, უბედაო თავი, ბალაჩი ჩაავდო. ჰეჩ, ქალაქელი ქალი სოფელობას ჰქნამდა? ჰეჩ, სოფელჩი დადგებოდა!...

— ძმაო, ისე რად შეირთე ის ქალაქელი ქალი, რომ საქმე სატირლად გაიხადე? როცა ირთამდი იმ ქალსა, იმისი ხასიათი არ იცოდი? ვკითხე იმას, ვისაც ცოლი გაქცეოდა.

— შე დალოცვილი შვილო, განა არ იცით ჩვენჩი ადათია (რიგია), ვაჟი ქალს მაშინ ნახავს, როცა ხუცესთან მიიყვანებენ.

— ჰე, რა არის ჩვენი გლეხების კარგი, რომ ეს ემენი იყოს.

— თქვენ სოფელში რამთონი მოსახლეა?

— ას თორმეტამდე იქმნება შენი ჭირიმე.

— შკოლა გაქვთ?

— არა, არ გახლავს, მაგრამ აგერ ორი წელიწადია ვაკეთებთ, მარტო კედლები ამოვიყვანეთ.

— რატომ არ შეათავებთ?

— მოთავე არა ვინა ჰყავანს, იყო პასუხი გლეხებისა.

ამ სასიამოვნო ლაპარაკში ვიყავ და მიხაროდა, რომ ჩვენი ხალხი ისე განათლდა, რომ გლეხებსაც ემცევათ ცოდნები. ისე ავიარეთ აღმართი ლაპარაკით, რომ ვერ გავიგეთ სულა. რუსული ურმები მოგვეწია, ჩავსხედით და გავსწიეთ.

შუა დღე დაგვიხვდა ასპინძას. ასპინძა არის ორმოც მოსახლიანი სოფელი, ბაღ-ბაღჩიანი. მცხოვრებლები არიან მაჭმადის მაღიარებელნი; კლდეზე არის ნაშენი ციხე ძველი. ორ ვერსტზე სამხრეთისკენ მტკვრის პირზე ამოდის ცხელი წყალი, რომელსაც, უხიდობის გამო ცოტა ჰყავს თაყვანის მცემლები.

— თქვენში ქართულს არ ლაპარაკობენ? ვკითხე ერთ ახალგაზდა თათარს, რომლის თეთრი ჩალმა ამშობდა, თათარი ვარო, მაგრამ შავ თვალ წარბი, მშვენიერი სანახავი სახე და დიდი ცხვირი იყვნენ უარზე: «არა ქართველი ვარო.“

— არა, მიპასუხა ჩემმა ახალ-გაზდამ, სულ არ ვიცით. მოხუცებულებში კი იპოვება თითო-ოროლა, რომელთაც კარგათ იციან ქართული. ჩემმა მოსასხემ მიჭქარა — მე ზედმიწევნით გავიგე, რომ ყველანი ლაპარაკობენ ქართულს.

ამ სოფელს რაც ასპინძა დაურქმევიათ, მაშინ მანდ ცხოვრებულან ვითომ ასი ბინძი, რომლიდამ დარჩენილა — „ასპინძა“.

ასპინძის სტანციიდამ განგებამ ორ ნაირად დაგვსაჯა: ერთი რომ გამოუცდელი ცხენების მრეკელი მოგვცეს, მეორე ისა, რომ ახალქალაქიდამ მოდიოდა ჯარი და ბევრი თავში ცემა მოგვიხდებოდა ხოლმე: გვჭირდებოდა ბევრჯერ გზაზე ჩერება და გზის მიცემა. მართლა მესამე უფრო საგრძნობელი ტანჯვა იყო, ახალციხიდგან ახალქალაქამდის ვერსტები არსად არ იყო დანიშნული სტანციების გარდა. ეს მართალია, რომ ამ ვერსტების ქონა უბრალოა, მაგრამ მგზავრისათვის სანუგეშოა. მობეზრებული მგზავრი მარტო იმით თავს ინუგეშებს ხოლმე.

რამდენიც მოვახლოვდით ხერთვისს, იმთონად ტყეებმა მოგვშორდნენ ჩვენ და წინ წარმოგვიდგნენ ტიტველა მთები.

ჯავახეთს სულ არა აქვს ტყეები და ბაღ-ბაღჩები, რომელიც პირველი გამშვენებულია ბუნებისა, მაგრამ იმასაც თავისი კაცის გულის მზიდველი საგანი აქვს: მაღალი თვალ უწვდენელი კლდეები, მწვანე ხავერდივით ჭალები, ნანგრევი-ვერანა ეკკლესიები, მაღალი გამოქვაბულები განა არ არის საგანი გულის მიმზიდველი! მეტადრე კლდეები თავისის მრგვალის გამოქვაბებულებით, რომლებიც ნიშნავენ კვალს ძველის ცხოვრებისას, რა ნაირ ფიქრებს არ ჰბადავს მგზავრის თავში და მერე გულში როცა მგზავრი შედის აქ ვიწრო ხევებში და რომ გადაათვალიერებს და ჰხედავს მაღლა ცას, ძირს მტკვარს და გზას, გვერდებში მაღალ კლდეებს, ამ კლდეების შუა და შუა ჩამომშხრიალა ანკარასავით მოკამკამე წყლებს, მაშინ კაცი აღტაცებაში შედის.

ს. ბავრელი.

(შემდეგი იქნება.)


## განცხადებანი

### მაისის 15-ს გაიხსნა თფილისში

# ქართული
# წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Іюня 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.